SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396

აგვისტო-სექტემბერი | 2022

მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

№20

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ტყიბულის ამბები / იმერეთის სიახლეები / ღონისძიებები

ტყიბულქალაქობა და მეშახტის დღე გრანდიოზულად აღინიშნა!



გვ.4

გაიცანით ჩვენი თანამშრომლები

გვ.6

ტყიბულის მერიის პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია!

გვ.9



სახელმწიფო თანადაფინანსებით, 1200 ჰა-ზე მეტ ფართობზე მრავალწლოვანი ბაღები გაშენდა

გვ.10

ლევან დავითაშვილი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

პატივცემულო მეშახტეებო,

გილოცავთ თქვენს პროფესიულ დღეს.

არსებობს რთული პროფესიები და არსებობს მეშახტის პროფესია - ერთ-ერთი ურთულესი და, ამავდროულად, საპასუხისმგებლო, ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო და უმნიშვნელოვანესი საქმე. თქვენ სწორედ ამ საქმის ადამიანები ხართ - ვინც ყოველდღიურად, წლიდან წლამდე, ერთგულად და პირნათლად ასრულებთ საკუთარ მოვალეობას და ამით დიდი წვლილი შეგაქვთ როგორც თქვენი რეგიონის, ისე მთელი საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და განვითარების საქმეში.

სამთო-მომპოვებელი დარგი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორია, რომელიც უკვე არაერთი ათწლეულია წარმატებით მუშაობს და ათასობით ადამიანს ასაქმებს. მის სტაბილურობასა და სანდოობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კოვიდ-პანდემიის დროს, როცა ეკონომიკის არაერთი სექტორი გაჩერდა, საქართველოს შახტებში მუშაობა, ფაქტობრივად, არ შეწყვეტილა. ამისთვის თითოეულ მეშახტეს, ამ დარგის ყველა წარმომადგენელს დიდ მადლობას გიხდით.

მოხარული ვარ, რომ ეს დარგი წლიდან წლამდე ვითარდება და რაც მთავარია, ჩვენი - სახელმწიფოს და მმართველი კომპანიის თანამშრომლობით და საერთო ძალისხმევით უმჯობესდება შახტებში დასაქმებულთა შრომის და სოციალური პირობები - უწყვეტად მიმდინარეობს შახტების რეაბილიტაციისა და გადაიარაღების პროცესი; კიდევ უფრო გაძლიერდა შრომის უსაფრთხოების კონტროლი და მოხდა კადრების გადამზადება ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად; ნაწილობრივ, უკვე დაინერგა ანაზღაურების ახალი სისტემა. შედეგად, გაიზარდა დასაქმებულთა შემოსავალი, იგეგმება ახალ სისტემაზე ეტაპობრივად, სრულად გადასვლა.

ჩვენ მომავალშიც ინტენსიურად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით რომ შრომის და ცხოვრების საუკეთესო, ღირსეული პირობები გქონდეთ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენს პროფესიულ დღეს და მადლობას გიხდით თავდაუზოგავი შრომისთვის, გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს.

ბეჟან წაქაძე

ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი

ძვირფასო ტყიბულელებო, ძვირფასო მეშახტეებო, გილოცავთ ტყიბულქალაქობას და მეშახტის დღეს!

სამთო-მოპოვებითი დარგის განვითარებამ განაპირობა ის, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტს დღეს ასეთი ლამაზი ქალაქი ამშვენებს. თითქმის 2 საუკუნის წინ აღმოჩნდა ამ ტერიტორიაზე ქვანახშირი, ქალაქი ტყიბული კი უკვე 83 წლისაა. სწორედ მეშახტეების სახელს უკავშირდება ამ ქალაქის შექმნა და განვითარება.

ვულოცავ თითოეულ ტყიბულელს, ვულოცავ მეშახტეებს. მათ იციან, რომ მე ყოველთვის მათ გვერდით ვიქნები, რადგან ისინი არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოსთვის შრომობენ. ტყიბული ყოველთვის იქნება ქალაქი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რეგიონისთვის და სრულიად საქართველოსთვის.

ზვიად შალამბერიძე

სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში

გილოცავთ პროფესიულ დღეს!

ტყიბულში ქვანახშირს მე-19 საუკუნიდან მოიპოვებენ და ქალაქის ცხოვრება დღესაც ქვანახშირზეა მიბმული. ამ დარგის განვითარებას აგრძელებენ ახალგაზრდა თაობები და დაინტერესებულები არიან, ღირსეულად დაეუფლონ მეტად საპასუხისმგებლო პროფესიას.

სამთო საქმე განსაკუთრებული და რთული პროფესიაა. პროფესია, რომელსაც ახლავს შრომისმოყვარეობა და თავდადება. წლების მანძლზე, თითოეულ მეშახტეს საკუთარი წვლილი შეგაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მადლობას გიხდით გამძლეობისა და სიმტკიცისთვის. თქვენ ძალიან შრომატევად საქმეს ემსახურებით და დაუღალავად ასრულებთ საკუთარ მოვალეობას.

კიდევ ერთხელ გამოვხატავ პატივისცემას თქვენი შრომისადმი, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს!

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი

ძვირფასო მეშახტეებო, გულითადად გილოცავთ პროფესიულ დღეს!

გამორჩეული და დასაფასებელია ადამიანი, რომელიც ირჩევს მეშახტის პროფესიას. გარდა პროფესიული უნარებისა, სამთო დარგი შრომისმოყვარეობას, სიმამაცეს, საქმისადმი ერთგულებას და სიყვარულს მოითხოვს. განსაკუთრებულია თითოეული თქვენგანის წვლილი ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. მიხარია, რომ მრავალი გამოწვევის მიუხედავად, თქვენთან ერთად ვქმნით ტყიბულის ახალ რეალობას და საფუძველს ვუყრით ჩვენი ქალაქის სწრაფ განვითარებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ პროფესიულ დღეს, გისურვებთ უსაფრთხო შრომას, წარმატებულ საქმიანობას და სიკეთით სავსე მომავალს!

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მეშახტეებს უდიდესი როლი აქვთ ჩვენი ქალაქის და ქვეყნის განვითარებაში. არსებობს რთული პროფესიები, მაგრამ მეშახტის პროფესია ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული სირთულით და პასუხისმგებლობით. ამას ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ყოველდღიურად ხედავს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მეშახტეს ამ უდიდესი შრომისთვის და პასუხისმგებლობისთვის.

მხნეობას, ჯანმრთელობას, სიკეთეს და წარმატებას ვუსურვებ მათ, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში!

მიხაილ სოცკი

"საქნახშირის" გენერალური დირექტორი

27-28 აგვისტოს ამ ულამაზესი, შესანიშნავი ქალაქის დღე და „მეშახტის დღე“ ერთად ვიზეიმეთ. ეს იყო არაჩვეულებრივი ღონისძიებებით დატვირთული დღეები და ჩვენი, ყველას მიზანი იყო რაც შეიძლება ბევრი ბედნიერი სახე ტყიბულში. ჩვენ ეს გამოგვივიდა!

მესამე წელია, რაც ჩვენი გუნდი „საქნახშირს“ ხელმძღვანელობს. მესამე წელია, განსაკუთრებულად ვზეიმობთ მეშახტეების პროფესიულ დღეს. გასულ წელს, პანდემიის გამო ვერ შევძელით ამ დღის გრანდიოზულად აღნიშვნა, ამიტომ, წელს ორმაგად შევეცადეთ, რომ ეს დღე ყველასთვის დასამახსოვრებელი და სასიამოვნო ყოფილიყო.

ჩვენს გუნდს წინ დიდი გამოწვევები აქვს. გასული სამი წელი დასახული მიზნების განხორციელებისა და წინსვლის წელი იყო. წინ კიდევ უფრო საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმეები გველოდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანის ჩართულობა, ორმაგი ძალებითა და განსაკუთრებული ყურადღებით მუშაობა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ ტყიბულის სტაბილური, გარანტირებული განვითარება და თავის მხრივ, მეშახტეებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ყველას ბედნიერებას და წარმატებას გისურვებთ.

მეუფე გიორგი შალამბერიძე

ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი

ძვირფასო მეშახტეებო,
გილოცავთ მარიამობის დღესასწაულს, მეშახტეთა დღეს და ტყიბულქალაქობას! ჯანმრთელობა, ბედნიერება და მშვიდობა გქონდეთ მუდამ, თქვენი ცხოვრების გზაზე. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ტყიბულქალაქობა

*27 აგვისტოს **ტყიბულქალაქობა** აღინიშნა! ქალაქი ამ დღისთვის სადღესასწაულოდ მოირთო. საგანგებოდ მოწყობილ კარვების ქალაქში ადმინისტრაციული ერთეულებისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ნიმუშების გამოფენა გაიმართა. გარდა ამისა, **ტყიბულქალაქობა** მოიცავდა მრავალფეროვან გასართობ აქტივობებს, მათ შორის, სპორტულ შეჯიბრებებს, კონკურსებს, გამოფენებს, გასართობ ატრაქციონებს და საზეიმო კონცერტს. **ტყიბულქალაქობას** ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები, ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი, ბეჟან წაქაძე, იმერეთის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, რომელთაც მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე მასპინძლობდნენ. საზეიმო ვითარებაში დაჯილდოვდნენ ტყიბულის საპატიო მოქალაქეები, რომლებსაც ეს ღირსეული წოდება, საზოგადოების წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის მიენიჭათ.*

მეშახტის დღე

*ტყიბულმა 28 აგვისტოს, ტრადიციულად, **მეშახტის დღე** იზეიმა. "საქნახშირის" გენერალურმა დირექტორმა, მიხაილ სოცკიმ და ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მეშახტეთა შრომის დიდების მემორიალი ყვავილებით შეამკეს. დღის განმავლობაში, ქალაქის ცენტრში, ბავშვებისთვის ატრაქციონები, კოსტიუმირებული მსვლელობა და გასართობი შოუები მოეწყო. დასკვნით ღონისძიებაზე, კომპანიამ საუკეთესო თანამშრომლები მადლობის სიგელებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვა. გარდა ამისა, "საქნახშირმა" 3 წლის ანგარიში წარადგინა და ახალ პროექტებზე მუშაობის დაწყება დააანონსა. **მეშახტის დღე 2022 ქართული ხმებისა** და **ღამის შოუს ბენდის** კონცერტით გაგრძელდა. საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა!*

გაიცანით ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომპლექსის თანამშრომლები

ადმინისტრაციული-საყოფაცხოვრებო კომპლექსი ავტო-სატრანსპორტო განყოფილებას, სამშენებლო-სარემონტო განყოფილებას, ზეინკლებს, შემდუღებლებს და ოსტატებს აერთიანებს. აღნიშნულ სამსახურს სამთო მრეწველობის ეკონომიკის მართვის სპეციალისტი, გელა უკლება ხელმძღვანელობს.

„საქნახშირის“ ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომპლექსში 2015 წელს დასაქმდა. მოგვიანებით, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად დაინიშნა. ამჟამად დირექტორის მოადგილეა სამეურნეო დარგში.

გელა უკლება: „შვიდი წლის განმავლობაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოზიციაზე ვიმუშავე. მიმდინარე წლის აპრილიდან, კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სამეურნეო დარგში დირექტორის მოადგილის პოზიცია დავიკავე. მადლობა კომპანიის ხელმძღვანელობას, რომ ჩემ მიმართ ასეთი დიდი ნდობა გამოხატეს და ასეთ საპასუხსიმგებლო თანამდებობაზე დამნიშნეს. ვცდილობ გავამართლო ეს ნდობა. საუკეთესო თანამშრომლები მყავს, ვცდილობ, მათთან ერთად, პასუხისმგებლობით შევასრულო დაკისრებული მოვალეობა.“

ავთანდილ ჭანტურიძე - 15 წელი საქნახშირში

ავთანდილ ჭანტურიძე პროფესიით სამთოელია. თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების სპეციალობით დაამთავრა. სამუშაოდ მშობლიურ ტყიბულში დაბრუნდა და შახტის ვენტილაციისა და უსაფრთხოების მიწისქვეშა სამთო ოსტატი გახდა. წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციებზე იმუშავა. 2015 წელს კი ტექნიკური განყოფილების უფროსი გახდა. აღნიშნული განყოფილების მოვალეობას შახტის ამოსაღები ველებისა და ჰორიზონტების დამუშავების პროექტების, ჭერის მართვის, გაყვანა-გამაგრების, ბურღვა-ფეთქითი და სარემონტო სამუშაოების პასპორტების შედგენა წარმოადგენს.

ავთანდილ ჭანტურიძე: „მშობლიურ ქალაქში უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე დავბრუნდი. მაშინ იწყებოდა ტყიბულში ქვანახშირის მრეწველობის აღორძინება, შახტების აღდგენა და ხალხის დასაქმება. ამ პერიოდში დაუბრუნდა მოსახლეობა საკუთარ ოჯახებს.

21 წლის ვიყავი შახტში რომ დავიწყე მუშაობა. წლების მანძილზე დიდი გამოცდილება მივიღე როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე ადამიანურ ურთიერთობებში. ფაქტობრივად, ცხოვრების საუკეთესო წლები აქ გავატარე - 15 წელია ამ საქმეს ვემსახურები. მიყვარს შახტა და ყველა მეშახტის მიმართ პატივისცემით ვარ განწყობილი. ვთვლი, რომ ყველა მეშახტე გმირია. იმედი მაქვს, კიდევ ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ ერთმანეთის თანადგომით. ჩვენი შახტა არის ხერხემალი არა მარტო ტყიბულისთვის, არამედ რეგიონისთვის. „საქნახშირი“ წამყვანი კომპანიაა, რომელიც აცოცხლებს რეგიონს და ეს ინვესტორის დამსახურებაა, რომელიც მუდმივად ზრუნავს როგორც დასაქმებულებზე, ისე მთელ ქალაქზე.“

ჩვენი გუნდის ახალი წევრი

ვახტანგ მამრიკიშვილი

ვახტანგ მამრიკიშვილი ხარისხის კონტროლის სამსახურის სპეციალურ ლაბორატორიაში მუშაობს. ქუთაისის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, რამდენიმე წელი ტურიზმის სფეროში მუშაობდა. თუმცა, მშობლიური ქალაქის სიყვარულმა საბოლოოდ მაინც ტყიბულში დააბრუნა და 2 წლის წინ, მუშაობა „საქნახშირში“ დაიწყო. ვახტანგის ძმა, ლუკა მამრიკიშვილიც მეშახტეა. ძმები ღირსეულად აგრძელებენ ბაბუის, ყოფილი მეშახტის, ვახტანგ მამარიკიშვილის ტრადიციას.

ვახტანგ მამრიკიშვილი: „ეს სამსახური ჩემთვის მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. ორი წელია საუკეთესო გუნდთან ერთად ვმუშაობ. ბევრი რამ ვისწავლე უფროსი თაობის მეშახტეებისგან, სწორედ მათგან მივიღე ცოდნა და გამოცდილება, შევიძნე საუკეთესო მეგობრები.

სამომავლოდ, ჩემი მიზანი უცხო ენების კარგად შესწავლა და ტურიზმის სფეროში საქმიანობაა. ჩემი მიზნისკენ კი საკუთარი შრომითა და მონდომებით გავიკვალავ გზას.“

გოგა კირკიტაძე

გოგა კირკიტაძე რამდენიმე თვეა რაც „საქნახშირში“ დასაქმდა. გასულ წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოლოგიის მიმართულებით დაამთავრა, მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და შახტის სამარქშეიდერო-გეოლოგიურ განყოფილებაში, გეოლოგის დამხმარედ დაიწყო მუშაობა. გამოცდილ გეოლოგებთან ერთად მუშაობა მას საკუთარი პროფესიის უკეთ დაუფლებაში ეხმარება.

გოგა კირკიტაძე: „პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, „საქნახშირი“ მნიშვნელოვანი ადგილია, შესაბამისად, მშობლიურ ქალაქში ჩემი დაბრუნებაც შახტში დასაქმებამ განაპირობა. გარდა ამისა, ვთვლი, რომ ჩვენი რაიონის სტაბილურობისთვის „საქნახშირის“ გამართული მუშაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მოხარული ვარ, რომ იმ კომპანიის გუნდის წევრი ვარ, სადაც არაერთი პროფესიონალი მუშაობს. აქ საკმაოდ ბევრის სწავლა შუძლია ადამიანს. მჯერა, რომ ერთად უამრავ კარგ საქმეს გავაკეთებთ.“

ფეხბურთის შიდა ჩემპიონატის გამარჯვებული N1 ნახშირმომპოვებელი უბანი გახდა!

„საქნახშირის სპორტული ღონისძიებების“ ფარგლებში მეშახტეებს შორის მინი ფეხბურთში შეჯიბრი დასრულდა. შეჯიბრს მსაჯობას ალექსანდრ ლოვინი უწევდა. მასში ათამდე საფეხბურთო გუნდის ასოცამდე მეშახტე მონაწილეობდა. 27 აგვისტოს, ფინალური მატჩის დასრულებისთანავე, „საქნახშირმა“ გამარჯვებულებს სიგელები და ფულადი პრიზები გადასცა.

სპეციალური თასისა და პირველის ადგილის მფლობელი N1 ნახშირმომპოვებელი უბანი გახდა. მეორე ადგილი საშახტო ტრანსპორტის უბანმა მოიპოვა. მესამე ადგილზე კი საშახტო ტრანსპორტის გზის მოხელეები გავიდნენ.

საუკეთესო მეკარედ ივანე ჩაფიძე, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელად შოთა ივანეიშვილი დასახელდნენ.

„საქნახშირი“ ყველას მადლობას უხდის მონაწილეობისთვის და გულშემატკივრობისთვის.

„საქნახშირმა“ პირველკლასელები ჩანთებითა და სასკოლო ნივთებით დაასაჩუქრა

მეშახტეების პირველკლასელ შვილებს კომპანიამ სასწავლო წლის დაწყება გასნაკუთრებულად მიულოცა და გემრიელი ფურშეტით გაუმასპინძლდა. "საქნახშირის" ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, მაკა კობახიძემ პატარები ჩანთებითა და სასკოლო ნივთებით დაასაჩუქრა.

"საქნახშირი" წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს უსურვებს ყველა მოსწავლეს და პედაგოგს.

„ბავშვთა კეთილდღეობის ლიგის“ წარმომადგენლები ტყიბულში

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვთა კეთილდღეობის ლიგის“ წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო, ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობითი პლატფორმის შემუშავებას, ბავშვზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემის შესაქმნელად.

სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლები, ყურადღება გამახვილდა ბავშვთა დაცვის საკითხებში თვითმმართველობის როლსა და ფუნქციებზე, აგრეთვე სოციალური მომსახურების სფეროში არსებულ საჭიროებებსა და საპასუხო ქმედებებზე.

ორგანიზაციის წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს ისეთი სოციალური პროგრამების დანერგვას, რომლის მიზანია მოახდინოს პრევენციული ღონისძიებების გატარება ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების დასახმარებლად და მათ გასაძლიერებლად.

შეხვედრის დასასრულს მუნიციპალიტეტის მერიასა და „ტყიბულის განვითარების ფონდს“ (TDDF) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური დაცვის სისტემის განვითარება; სოციალურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობითი პლატფორმის შექმნა, მუნიციპალიტეტში ბავშვისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებებზე ორიენტირებული გრძელვადიანი მომსახურებების შექმნის ხელშეწყობა.

ტყიბულში იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა

ცენტრის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, რაჟდენ კუპრაშვილმა და ქუთაისის ბიუროს უფროსმა, გელა სიორდიამ მიიღეს.

ოფისის გახსნის შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და ტყიბულის მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა. დამსწრე პირებს კონსულტანტი მარიამ ოყრეშიძე წარუდგინეს, რომელიც მოქალაქეებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე გაუწევს კვალიფიციურ კონსულტაციას.

შეხვედრაზე, რაჟდენ კუპრაშვილმა აღნიშნული სამსახურის მიზნებისა და ფუნქციების შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა. საზოგადოებას ასევე მიეწოდა ინფორმაცია უფასო იურიდიული სერვისებით სარგებლობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ.

მინი ფეხბურთის ჩემპიონატის გამარჯვებული საწირის გუნდი გახდა!

ტყიბულში მინი ფეხბურთის ჩემპიონატი გაიმართა. თამაშები ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა 14 გუნდმა მიიღო.

მუნიციპალიტეტის პირველობაზე დაძაბულ ბრძოლაში საწირის „ბაიერნმა“ გაიმარჯვა. მეორე ადგილი ძუყნურის „ქარიშხალამ“ მოიპოვა, ხოლო მესამე ადგილზე ტყიბულის ერთი-ერთი უბნის გუნდი „ფეოლა“ გავიდა.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ და მერის პირველმა მოადგილემ, გიორგი ლომთაძემ დააჯილდოვეს.

გამარჯვებულებს მედლები, შესაბამისი სიგელები და ფულადი პრიზები გადაეცათ.

ასევე, დასახელდნენ ნომინაციებში გამარჯვებულები: საუკეთესო ბომბარდირი - გაგი გაბრიაძე (ძუყნური), საუკეთესო ფეხბურთელი - თორნიკე კირკიტაძე (საწირე), საუკეთესო მეკარე - ჯემალ კობახიძე (ძუყნური).

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, რომელიც ,,კოსტავას“ გუნდის შემადგენლობაში ირიცხებოდა.

საჭადრაკო ფესტივალი „ტყიბული 2022“

ტყიბულის, იმერეთისა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციების ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის მერიისა და კომპანია „საქნახშირის" სპონსორობით, ტყიბულში ჭადრაკის ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალის გახსნის ღონისძიებას, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე, ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, მიხაილ სოცკი და ფედერაციის სხვა წევრები დაესწრნენ.

ფესტივალი ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში საქართველოს 11 მუნიციპალიტეტის 80-მდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. ტურნირი შვეიცარული სისტემით ჭაბუკთა და გოგონათა შორის, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მიმდინარეობდა.

დახურვის საზეიმო ღონისძიებაზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, გია გიორგაძემ და საქართველოს პარლამენტის წევრმა, ზაზა ლომინაძემ გამარჯვებულებს ფულად პრიზებთან ერთად, თასები, მედლები და შესაბამისი დიპლომები გადასცეს. გარდა ამისა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც მუნიციპალიტეტში საჭადრაკო კლუბის დაარსებასა და ჭადრაკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ღონისძიების მხარდამჭერი იყო, ტყიბულის სპორტული ცენტრი. ტურნირს ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი, იუზა დოლიძე ხელმძღვანელობდა, ხოლო შეხვედრებს მთავარ მსაჯობას საერთაშორისო არბიტრი, ალექსანდრე არსენიძე უწევდა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბავშვებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე, მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლას ეწვივნენ და მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

2022-23 სასწავლო წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი თანამედროვე საჯარო სკოლა შეემატა. 150 მოსწავლეზე გათვლილი N2 საჯარო სკოლა დავით ჩერქეზიშვილმა და იოსებ რობაქიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გახსნეს. მათ პირველკლასელებს სახელმწიფოს მიერ დაწესებული საჩუქრები, სასწავლო ბუქები, გადასცეს.

ახლადაშენებული სკოლა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის.

პროექტი, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა, რომლისთვისაც 2 534 362 ლარი დაიხარჯა.

მუნიციპალიტეტის მერი ქალაქის პირველ და სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლებშიც იმყოფებოდა, სადაც მოსწავლეებსა და პედაგოგებს წარმატებული და ნაყოფიერი საგანმანათლებლო წელი უსურვა. ახალსოფლის სკოლის ერთადერთ პირველკლასელს, თამარ ჩაფიძეს, კი, დავით ჩერქეზიშვილმა საჩუქრად სასკოლო ჩანთა, შესაბამის საკანცელარიო ნივთებთან ერთად გადასცა და სკოლაში პირადად მიაცილა.

სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები სასკოლო ნივთებით დასაჩუქრდნენ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩექეზიშვილმა 40-მდე მოსწავლეს უმასპინძლა, სწავლის დაწყება მიულოცა და ყველა საჭირო სასკოლო ნივთთან ერთად ჩანთებიც გადასცა. ისინი, ვისაც გასულ წლებში ჩანთები მიღებული ჰქონდათ, წელს მხოლოდ მოცულობითი სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით დასაჩუქრდნენ.

მერის ინიციატივით, ის მოსწავლეები, ვინც 2022-23 სასწავლო წელს მაღალი აკადემიური მოსწრებით დაასრულებენ, დამატებით წამახალისებელ საჩუქრებსაც მიიღებენ. წელს, აღნიშნული სოციალური პროგრამით ისარგებლეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა (200 000-მდე სარეიტინგო ქულით), კრიზისული ოჯახების (20 000-მდე სარეიტინგო ქულით), შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა (შშმ პირის სტატუსით) შვილებმა, I-VI კლასის ჩაათვლით; ასევე, ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით განსაზღვრული I-XII კლასის მოსწავლეებმა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია!



პროექტის "ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის - დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტმა განაცხადი წარადგინა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოების სრული დაფინანსება 69 000 ლარის ოდენობით მოიპოვა.

კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, გიორგი ლომთაძემ გაეროს განვითარების ფონდის წარმომადგენლებს უმასპინძლა და პროექტის განხორციელების ადგილი დაათვალიერებინა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

აღნიშნული პროექტი, ევროკავშირისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა, ინკლუზიური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დანერგვა, მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება და ადგილობრივ დონეზე საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება.

სახელმწიფო თანადაფინანსებით, 1200 ჰა-ზე მეტ ფართობზე მრავალწლოვანი ბაღები გაშენდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ, ზესტაფონის მერმა ვასილ გველესიანმა და საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ სვირში კაკლის ბაღი დაათვალიერეს.

პროგრამით „დანერგე მომავალი“ კაკლის ბაღი ფერმერმა კობა ჭულუხაძემ 9 ჰექტარზე გააშენა; სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 48,550 ლარია.

პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, ახალი მრავალწლოვანი ხეხილის ბაღი 17.6 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე გაშენდა. სახელმწიფო თანადაფინანსება 133 მილიონ ლარს აჭარბებს. რაც შეეხება კაკლოვან კულტურებს, ბაღები მთელი ქვეყნის მასშტაბით 8,455 ჰა-ზეა გაშენებული. თანადაფინანსება 39,166,940 ლარს შეადგენს.

იმერეთის რეგიონის მასშტაბით, ახალი მრავალწლოვანი ხეხილის ბაღი 1.2 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე გაშენდა. სახელმწიფო თანადაფინანსება 15 მილიონ ლარს აჭარბებს, აქედან კაკლოვნები 207 ჰა-ზეა გაშენებული, თანადაფინანსება კი 863,839 ლარია.

ქუთაისში 20 ქვეყნის 200-მდე ინფლუენსერი და ბლოგერი ჩამოვიდა

იმერეთმა არაბეთის გაერთიანებული საემიროდან ჩამოსულ 200 საერთაშორისო მედიაწარმომადგენელს, ბლოგერსა და ინფლუენსერს უმასპინძლა, რომლებიც ღირშესანიშნაობებს, დაცულ ტერიტორიებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, იმერულ მარნებსა და გასტრო სახლებს ესტუმრნენ. სამი დღის განმავლობაში იმერეთის რეგიონი მსოფლიოს ციფრული მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა!

დიდი ბრიტანეთის, ესპანეთისა და ავსტრიის შემდეგ, საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც მსგავსი უპრეცედენტო და მასშტაბური პროექტი „Let’s GET LOST with WIZZAIR“ – „მოდი, დავიკარგოთ Wizz air-თან ერთად“ განხორციელდა. პროექტი ითვალისწინებს ინფო-ტურს, რომლის მონაწილეები გამომგზავრების დასაწყისში არ ფლობენ ინფორმაციას დანიშნულების ადგილის შესახებ და პროექტის გამარჯვებულ ქალაქში (ქვეყანაში) მათი ჩასვლა არის სიურპრიზი.

პროექტის მონაწილეებს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე შეხვდა, რეგიონის ტურისტული ლოკაციების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და საინტერესო მოგზაურობა უსურვა.

„მათი დახმარებით ,ამ სამი დღის განმავლობაში, კიდევ 30 მილიონი უცხოელი ადამიანი გაიცნობს იმერეთს. ეს ნიშნავს ჩვენი მხარის და ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას. ეს ნიშნავს დამატებით ახალ ტურისტებს და ჩვენი თანამოქალაქეებისთვის დამატებით შემოსავალს, რაც საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ ზრდაზე აისახება.“ - განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

პროექტის მიზანი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იმერეთის რეგიონის პოპულარიზაციაა. გათვალისწინებულია იმერეთის შესახებ სხვადასხვა ვიდეორგოლების გადაღება, რომელიც ინფორმაციასთან ერთად განთავსდება საერთაშორისო მედია პლატფორმებზე, გაზიარებული იქნება შერჩეული აპლიკანტების სოციალურ ქსელებში, რომელთა ჯამური გამომწერების რაოდენობა დაახლოებით 30 მილიონი ადამიანია.

პროექტის საქართველოში განხორციელების ინიციატივა საქართველოს ავიაბაზრის ლიდერს, ავიაკომპანია Wizz Air-ს და მათ შვილობილ კომპანია Wizz Air Abu Dhabi-ს ეკუთვნის. პროექტის ორგანიზატორები არიან: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, ქუთაისის აეროპორტის ოპერატორი კომპანია - საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, ქუთაისის მერია, DMO IMERETI და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა აქტიურად მიმდინარეობს

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, აღნიშნული პროექტი 1 მარტს დაიწყო და ამ დროისთვის 20 ათასამდე ადამიანია დასაქმებული. მათგან 1000-მდე ხელშეკრულება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააგენტოებშია გაფორმებული.

იმერეთის რეგიონში ეროვნულ სატყეო სააგენტოში, სურსათის ეროვნულ სააგენტოში და დაცული ტერიტორიების სააგენტოში დასაქმებულ სოციალურად დაუცველ პირებს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ზურაბ აზარაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი, ოთარ შამუგია, სახელმწიფო რწმუნებული, ზვიად შალამბერიძე შეხვდნენ და დასაქმებულთა სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნენ.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად. საზოგადოებრივი სამუშაო, ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. პროგრამის ბენეფიციარს ოთხი წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველის სტატუსი გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნულ შეხვედრებს ზესტაფონის მერი ვასილ გველესიანი და მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან წაქაძე ესწრებოდნენ.

ზვიად შალამბერიძე სამუშაო ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე და ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი სამუშაო ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა კუიავსკო-პომორკის რეგიონის მარშალ პიოტრ ცოვბესკთან და ქალაქ ტორუნის მერ მიხაილ ზალესკისთან. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბიზნეს ფორუმის ფორმატში მომავალ წელს იმერეთი პოლონელ მეწარმეებს უმასპინძლებს და ერთობლივი პროდუქციის გამოფენა მოეწყობა.

იმერეთის გუბერნატორმა შეხვედრები მხარის პარლამენტშიც გამართა, სადაც დეპუტატებთან სამომავლოდ სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარებასა და ურთიერთანამშრომლობის შესახებ იმსჯელეს. ვიზიტის ფარგლებში საუბარი შეეხო ასევე ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და პოლონეთის კოპერნიკის სახელობის უნივერსიტეტის სამომავლო თანამშრომლობასაც.

გარდა ამისა, იმერეთის გუბერნატორი და ქუთაისის მერი ქალაქ ტორუნში, წარმოშობით ქუთაისელის და პოლონეთში მოღვაწე ქართველი სამხედრო პირის, ვიტალი უგრეხელიძის სახელობის მოედნის გახსნას დაესწრნენ.

ორმხრივი შეხვედრებისას ქუთაისისა და ტორუნის დამეგობრების საკითხიც გადაწყდა, რომელიც იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს.

პოლონეთის ქალაქი ტორუნი იმერეთის მხარესთან დაძმობილებულ კუიავსკო-პომორკის რეგიონს წარმოადგენს. იმერეთსა და კუიავსკო-პომორკის შორის ურთიერთობა 2014 წლიდან დაიწყო და ამ დრომდე ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის საგანმანათლებლო მიმართულებით, ასევე, ახალგაზრდებისთვის მოეწყო შემეცნებით სფეროში ერთობლივი პროგრამები, გარდა ამისა, მემორანდუმის ფარგლებში სოფლის მეურნეობის განვითარების, კულტურული ურთიერთობის გაღრმავების მიზნით ჩატარდა აქტივობები.

ქართულმა მხარემ საერთაშორისო-ეკონომიკურ ფორუმებშიც მიიღო მონაწილეობა.

ზვიად შალამბერიძე საერთაშორისო ექსპერტს, პიოტრ ჟუბერს და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტების მენეჯერს, ნინო კაკუბავას შეხვდა!

იმერეთის გუბერნატორმა საერთაშორისო ექსპერტს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) მიმდინარეობაზე მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ 12-ვე მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

ზვიად შალამბერიძემ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) ფარგლებში არსებულ ქვეკომპონენტებზე ისაუბრა და დასძინა, რომ 2022 წელს პროგრამის პრიორიტეტებია: ურბანული განახლება - ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე, უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება.

ასევე, განხილვის საგანი იყო (PIRDP)-ის ყველაზე ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრა და იმ შეზღუდვების გამოვლენა, რომლებიც უნდა გადაიჭრას სამომავლო ტერიტორიული განვითარების პროგრამ(ებ)ის მომზადებისას.

შეხვედრის მიზანია, ექსპერტმა, პიოტრ ჟუბერმა შეაგროვოს ცენტრალური/რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებები, ინფორმაცია და მონაცემები, საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის (PIRDP) განხორციელების შესაფასებლად, მიღებული გამოცდილების გასაანალიზებლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად სამომავლო რეგიონული განვითარების პროგრამების/სტრატეგიული ხედვების ჩამოყალიბებისთვის.

საქართველოში რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საპილოტე პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ემყარება ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკას. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს დაბალანსებულ და მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ტერიტორიული განვითარების ინტეგრირებული ინიციატივების განხორციელების გზით.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ეგიდით, იმერეთში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 69 656 927 ლარია გამოყოფილი.

ვარინკა მაჭავარიანი - წერეთლის სახელობის თეატრონი

ზესტაფონსში ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის სახელობის თეატრონის განახლების სამუშაოები დასრულდა. პროექტი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. განახლებულ სივრცეში წელს ხალხური და ლირიული სიმღერების ფესტივალი ,,სულიკო" გაიმართება. ფესტივალი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს.

ჩვენ ერთად ვქმნით უსაფრთხო სამუშაო გარემოს

“ ყოველთვის თან იქონიე თვითმაშველი, ის გიცავს ნახშირჟანგით მოწამვლისგან.

გახსოვდეს, ყველა დეტალი მნიშვნელოვანია, რადგან მცირე გადაცდომაც კი შეიძლება საბედისწერო გახდეს! **”**

მაკა გოტიაშვილი

საშახტო აწევის უბნის მიწისქვეშა სასკიპე ჭაურის ამწე მანქანის მემანქანე

საქნახშირი SAKNAKHSHIRI

მეშახტე

აგვისტო-სექტემბერი |2022| №20

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri